





ეროვნული სასწავლო გეგმები და სახელმძღვანელოები

№ 257

„2“ ნოემბერი 2004 წ.

ლოგიკისა და ენის გაერთიანებული ჯგუფის მიერ დასმული საკითხი (წარმოდგენილი ბ-ნ. კ. ფხაკაძის და ბ-ნ. კ. გაბუნიას მიერ) ქართული ენის, ქართული ენის ლოგიკისა და მათემატიკური ლოგიკის სწავლების შესახებ ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან თემას წარმოადგენს დღევანდელ საგანმანათლებლო რეფორმის ჭრილში.

როდესაც დღეს სასწავლო გეგმები დგება, პრიორიტეტული ხდება აზროვნების ისეთი ფორმების სწავლება და იმ უნარების განვითარება, რომლებიც არ არის შეზღუდული ერთი რომელიმე ცოდნის სფეროთი. ამჯერად ენის ლოგიკისა და მათემატიკური ლოგიკის სწავლების შეთანხმება ჩვენ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. ჩვენ ასევე ვეთანხმებით ლოგიკისა და ენის გაერთიანებული ჯგუფის მიერ დაყენებულ საკითხს იმის თაობაზე, რომ მნიშვნელოვანია მოსწავლეებში სუბიექტური მსჯელობისაგან მეტნაკლებად გათავისუფლებული, კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც გამტკიცებული იქნება დამაჯერებელი და ლოგიკურ ჩარჩოებში მოქცეული დასაბუთებით.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჩვენ ყოველმხრივ მხარს ვუჭერთ ამ ჯგუფის მიერ ქართული ენის ლოგიკურ-ლინგვისტურ კვლევას. ასევე ჩვენ უკვე დავიწყეთ თანამშრომლობა ამ კვლევების შედეგების გათვალისწინების შესახებ ეროვნულ სასწავლო გეგმებში. იმედი გვაქვს, რომ ამ ჯგუფს საკმარისი საშუალებები ექნება, რომ კიდევ უფრო ფართო მასშტაბიანი სამუშაოები ჩაატაროს ეროვნული სასწავლო გეგმების შემმუშავებელ საგნობრივ ექსპერტებთან ერთად. ვფიქრობთ, რომ ეს მუშაობა ნაყოფიერი იქნება და განათლების რეფორმას წაადგება.

იმედი გვაქვს, რომ ზემოთხსენებული ჯგუფის მუშაობა წარმატებული იქნება და ამ კვლევის შედეგები ასევე წაადგება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ქართული ენით აღჭურვის საქმეს, რაც საბოლოოდ ისევ განათლების ეფექტური ინსტრუმენტი გახდება.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და

სახელმძღვანელოების განყოფილების ხელმძღვანელი

სიმონ ჯანაშია





№ \_\_\_\_\_

„—24—“ —აგვისტო— 2004 წ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორს,  
ბატონ რამაზ ბოჭორიშვილს

სწავლების თანამედროვე მოთხოვნებით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აღსაზრდელში ლოგიკურად გამართული აზროვნებითი უნარების ჩამოყალიბებას. ამასთან, ყურადღება ექცევა როგორც მათემატიკური, ისე ენობრივი მსჯელობითი უნარების განვითარებასა და ამ მსჯელობითი უნარების შეჯერებას, რაც მათემატიკური ენისა და სწავლების ენის (ჩვენს შემთხვევაში ძირითადად ქართული ენის) ურთიერთმიმართებათა სწავლების გზით მიიღწევა.

ხაზგასასმელია, რომ მეცნიერული თვალსაზრისებით ქართული ენისა და მათემატიკური ენის ურთიერთმიმართებების საკითხი თითქმის შეუსწავლელია. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ თავის დროზე საქართველოში ვერ დამკვიდრდა და ვერ განვითარდა თანამედროვე ლოგიკურ-ლინგვისტური სამეცნიერო ხაზი. გასაგებია ისიც, რომ მათემატიკური და ბუნებრივი ენების ურთიერთმიმართებების სწავლება უპირველესად ითხოვს ამ ურთიერთმიმართებების მეცნიერულ კვლევასა და ამ კვლევის შედეგად უკვე გამოკვეთილი შედეგების ასევე მეცნიერულ, მეთოდურ გადაამუშავებას.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანად მივიჩნევთ უნივერსიტეტში „მათემატიკის დაფუძნებისა და მეთოდის კადრაზე“ უკვე დაწყებული ლოგიკურ-ლინგვისტური სამეცნიერო ხაზის განვითარების პროცესს. ცხადია, რომ „მათემატიკური და ბუნებრივი ენების ლოგიკისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების“ ერთ-ერთ ძირითად საფაკულტეტო სასწავლო ხაზად დამკვიდრება არსებითად შეუწყობს ხელს განათლების რეფორმის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტას. კერძოდ, ეს არსებითად წაადგება მათემატიკისა და ქართული ენის სასწავლო დისციპლინების ჩამოყალიბებას აზროვნებითი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული ფორმებით.

პატივისცემით


განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს  
პროექტ „ილია ჭავჭავაძის“ მათემატიკის  
ჯგუფის კოორდინატორი

*ბ. კვიციანი* /ზაქარია გიუნაშვილი/

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს  
პროექტ „ილია ჭავჭავაძის“ ქართული ენისა  
და ლიტერატურის ჯგუფის კოორდინატორი

*ქ. კახიანი* /კახა გაბუნია/





საქართველოს პარლამენტი

# განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტი

0118, თბილისი, რუსთაელის ქროსკ., № 8,  
ტელ.: 99-80-58, 99-89-08; ფაქსი: (995 32) 99-72-06

№ 4178-2

„26“ „10“ 2004

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლოგიკისა და ენის ქართული გაერთიანებული ჯგუფის ხელმძღვანელს, ბაგონ კ. ფხაკაძეს

ბაგონო კონსტანტინე,

კომიტეტი მიესალმება გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის "კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში" განხორციელებას და მხარს უჭერს მის პირდაპირ მიზნობრივ დაფინანსებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2005 წლის ბიუჯეტის ფარგლებში.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე

ნოდარ გრიგალაშვილი





საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ქ. თბილისი, 380062, ი. აბაშიძის ქ. №70  
ტელ: 22 68 05; 29 07 78; ფაქსი: 29 23 68

20.10.04 № 04-01-18/445

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ლოგიკისა და ენის ქართული ჯგუფისა და  
სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის  
ხელმძღვანელს ბატონ კონსტანტინე ფხაკაძეს

ფინანსთა სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 13  
ოქტომბრის წერილით წარმოდგენილი „კომპიუტერის სრული პროგრამულ-  
მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ გარემოში“ პროგრამის  
დაფინანსებათან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნულთან დაკავშირებით  
გაცნობებთ:

წარმოდგენილ პროგრამაში დასმული საკითხები მნიშვნელოვანი და  
მეტად აქტუალურია. ამასთან, მიგვაჩინია, რომ აღნიშნული მიზნობრივი  
პროგრამის დაფინანსება უნდა განხორციელდეს „საქართველოს 2005 წლის  
სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით  
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის  
გათვალისწინებულ ასიგნებათა ფარგლებში.

ზურაბ ანთელიძე  
მინისტრის მოადგილე